ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი მის გაუმჯობესებაში

ვახტანგ დათაშვილი –
სტუ-ს პროფესორი.
ირაკლი პაპავა –
სტუ-ს დოქტორანტი

ჯანსაღი ბიზნესგარემოს ფორმირება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ქვაკუთხედია. სწორედ მოწესრიგებულ და მიმზიდველ ბიზნესგარემოში დევს ის გასაღები, რომლითაც უნდა გადაიჭრას სახელმწიფოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მოხდეს ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება. ბიზნესის განვითარება, თავისუფალი კონკურენციის ფორმირება დამოკიდებულია გარემოზე და უშუალოდ ბიზნესმენის მეწარმეობრივ უნარ-ჩვევებზე თუმცა ამ ყველაფერზე გადამწყვეტ როლს სახელმწიფო თამაშობს. ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო განაპირობებს ეკონომიკის ზრდისა და კერძო სექტორის განვითარების ტემპებს. საქართველოში არსებული ეკონომიკური გარემო ყოველწლიურად ფასდება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ.

ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი და ფორმები ბევრადაა დამოკიდებული განსაზღვრულ პერიოდში მოცემული ქვეყნის მიერ შერჩეულ ეკონომიკური პოლიტიკის კურსზე და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელზე. საბაზრო მოდელის პირობებში ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი არსებითად მცირდება. აქ ძირითადად მისი როლი დაიყვანება იმაზე, რომ ერთ შემთხვევაში ზემოქმედება მოახდინოს საბაზრო მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ხოლო მეორე მხრივ - უშუალო მონაწილეობა მიიღოს იმ პროცესების ორგანიზაციასა და რეალიზაციაში, რომლებშიც საბაზრო ურთიერთობები ან არარაციონალური, ან არსებითად შეზღუდულია.

სახელმწიფოს მონაწილეობა ტრანსფორმირებად ეკონომიკაში ობიექტურად აუცილებელია. ამ პერიოდში მან აქტიური ზეგავლენა უნდა მოახდინოს ეკონომიკაზე და აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მასში საზოგადოების მიერ მის მიმართ დელეგირებული რწმუნებების საფუძველზე თავისი უნიკალური შესაძლებლობების წყალობით. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკაში მონაწილეობისა ძირითად მიზანს წარმოადგენს ძველი ეკონომიკური სისტემის რეფორმირების პროცესის პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია და ხელსაყრელი პირობებისა და ინსტიტუტების შექმნა ახალი სისტემის განვითარებისათვის.

ეკონომიკური თეორიის თანახმად, ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია მისი ყველა ეკონომიკური სექტორის მეტნაკლებად სინერგიული წინსვლა. ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტი უნდა წარმოადგენდეს იმ დამატებულ ღირებულებათა საერთო შედეგს, რომელიც გამომდინარეობს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში წარმოებული საქონლისა და მომსახურებიდან. ამისთვის კი აუცილებელია სახელმწიფოში შეიქმნას ეროვნული ეკონომიკისა და, პირველ რიგში, მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი პირობები. ასეთი სახელმწიფო ხელშეწყობის ეკონომიკური პოლიტიკა განვითარებად მცირე ერებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება გლობალიზებულ სამყაროში, როცა ერთიანი მსოფლიოს ეკონომიკური სისტემა ხიფათს უქმნის მცირე ქვეყნების არა მარტო ეკონომიკურ „ჯანმრთელობას", არამედ მათ ეროვნულ იდენტურობასაც. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები გამოყენებულ იქნა ფრანკლინ დელანო რუზველტის მიერ ამერიკის „დიდი დეპრესიის" მძიმე შედეგების დასაძლევად და ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდის უზრუნველსაყოფად. იმავე მეთოდებით შარლ დე გოლმა და ათათურქმა დაძლიეს ეკონომიკური კრიზისი თავიანთ ქვეყნებში.

ასეთი მიდგომები პრინციპში გულისხმობს ეროვნული ეკონომიკისთვის და წარმოებისთვის მასტიმულირებელი პირობების შექმნას. ჟან-

ბატისტ კოლბერმა 10 წლით გაათავისუფლა ფრანგული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-მიწოდება გადასახადებისაგან. 1763 წელს დიდ ბრიტანეთშიც დაწესდა იმპორტირებულ საქონელზე სააქციზო გადასახადი, განსაკუთრებით საფრანგეთიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე. ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობაში ახალი არაფერი არ არის და იგი საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა ეროვნული ეკონომიკისთვის სახარბიელო პირობების შესაქმნელად. გამოიყენება იგი დღესაც, სხვათა შორის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერაც.

თანამედროვე მსოფლიოში ჯერჯერობით მხოლოდ სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების ერთადერთ სუბიექტს, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ტრანსფორმაციის პროცესის ორგანიზატორის ფუნქცია ძველი ეკონომიკური სისტემის ახლით შეცვლის საქმეში. აქედან ნათელია, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა ამ პროცესში ობიექტურად აუცილებელია, უფრო მეტიც, მას გადამწყვეტი როლი ეკუთვნის.

სახელმწიფო მექანიზმების როლი ეკონომიკაში

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თან მოჰყვა სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრებაში ჩარევის მასშტაბების გაფართოება. თავისი საქმიანობის ყველა მიმართულებით - საგადასახადო და საბაჟო დაბეგვრა, რეპრესიული ფულადი პოლიტიკა და სხვა - სახელმწიფომ გაზარდა ეკონომიკური დატვირთვა კერძო სექტორზე და შეზღუდა იურიდიული და ფიზიკური პირების ეკონომიკური თავისუფლება. ნაცვლად იმისა, რომ შემოეღო სამეურნეო ცხოვრების ცივილური დემოკრატიული წესები გადასახადების ამოღებისა და საბაჟო შემოსავლების გაზრდის, აგრეთვე, კორუფციასთან ბრძოლის მიზნით. აღნიშნულმა გარემოებამ დიდი დაღი დაასვა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს.

გარდამავალი ეკონომიკის სპეციფიკა ისაა, რომ მასში ერთდროულად მოქმედებს ის ეკონომიკური ელემენტები, ფორმები და ურთიერთობები, რომლებიც დამახასიათებელია განვითარების როგორც ადრე არსებული ისე ახალი, ფორმირებადი მოდელისათვის. ამიტომ მისთვის დამახასიათებელია შეუსაბამობა და წინააღმდეგობა ძველი და ახალი სისტემების ატრიბუტებსა და ურთიერთობებს შორის. ამ ურთიერთწინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაში წარმატება ავტომატურად ვერასოდეს ვერ მიიღწევა. იგი მოითხოვს მთელი საზოგადოების ძალისხმევას, ძალების კონცენტრაციას, განსაზღვრული პირობებისა და საშუალებების შექმნას. გარდა ამისა, ტრანსფორმაციული პროცესის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთ ორგანიზაციულ ფაქტორს, როგორიც სახელმწიფოა.

ჯანსაღი ეკონომიკური კლიმატის ჩამოყალიბება გარდამავალ პროცესში სახელმწიფოსაგან განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს. ამ ამოცანებს მიეკუთვნება:

1. ხელსაყრელი პირობების შექმნა საბაზრო მექანიზმის და კონკურენტული გარემოსწარმოქმნისა და განვითარებისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი საფუძვლების შემუშავებასთან.

2. გარდამავალი პერიოდისათვის მემკვიდრეობით გადაცემული კრიზისის შედეგების აღმოფხვრა და მაკროეკონომიკური წონასწორობისა და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წანამძღვრების შექმნა.

3. მოსახლეობის სოციალური დაცვის პრინციპულად ახალი მოდელის შექმნა. ამ ამოცანის დასმა დაკავშირებულია იმასთან, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ძირფესვიანად ცვლის მოსახლეობის სოციალური დაცვის წყაროებსა და პრინციპებს.

სახელმწიფო მოწოდებულია გადამწყვეტი როლი ითამაშოს გარდამავალ პერიოდში მიმდინარე პროცესებში თუმცა სამეურნეო პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობას აქვს გარკვეული საზღვრები. ბაზრის ჩამოყალიბების ადრეულ სტადიაზე სახელმწიფოს არ შეუძლია ტოტალური გავლენა იქონიოს საბაზრო ფასწარმოქმნაზე ან მეწარმის სამეურნეო საქმიანობის მიმართულების შერჩევაზე. გამონაკლისი აქ შეიძლება იყოს ფასების დონის მხოლოდ დროებითი შეზღუდვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქონლისა და მომსახურების არც თუ დიდ წრეზე, ან რომელიმე სახის საქმიანობის დროებითი შეზღუდვა. გარკვეული შეზღუდვები სახელმწიფოს შეუძლია დაწესოს მოსახლეობის შემოსავლების მიმართაც, მაგალითად, შეზღუდოს ხელფასის ქვედა ზღვარი. განვითარების კვალობაზე ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის მასშტაბებს შემცირების ტენდენცია აქვს. განვითარებული ბაზრის პირობებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საბაზრო მექანიზმის მოქმედებას.

ზემოთ განხილული მიზნებიდან უპირველე-

სია სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებას და საბაზრო მექანიზმის მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. ამ ეტაპზე სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია ხდება კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება. კანონშემოქმედებითი ფუნქციის რეალიზაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მოითხოვს საკანონმდებლო აქტების დიდი პაკეტის შემუშავებას და დამტკიცებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთრების ყველა ფორმის თანასწორუფლებიანობას, განსაზღვრავენ სუბიექტების უფლება-მოვალეობებს საბაზრო ურთიერთობის პირობებში, ზღუდავენ სამეურნეო საქმიანობის სფერობს და სახეებს, ადგენენ განსაზღვრულ ნორმატივებსა და სტანდარტებს და სხვ.

კანონშემოქმედების პროცესი რთული და წინააღმდეგობრივია, რამდენადაც ეკონომიკაში როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საერთოდ, არსებობს ბევრი განუსაზღვრელობა. ცალკეულ სფეროებში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეიძლება გაგრძელდეს ადრე დადგენილი სამართლებრივი ნორმების მოქმედება, კანონებში, წესებსა და ნორმებში მიღებულ, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების მიერ. დასაშვებია გარკვეული შეუსაბამობა და წინააღმდეგობა რომლებიც, კერძოდ, საქართველოში არსებით განსხვავება იყო (და ახლაც აქვს) ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მიღებულ კანონებს შორის. ამიტომ საჭიროა დიდი ძალისხმევა და დრო არა მარტო თვით კანონპროექტების შემუშავებისა და მიღებისათვის, არამედ მათი კორექტირებისა და სხვა კანონებთან და ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის.

ასევე მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მისი საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების ფორმირებისათვის - პირობების შესაქმნელად და საბაზრო ურთიერთობების სპეციფიკური სუბიექტების - კერძო მესაკუთრეთა გამოსავლენად. ამ მიზნით სახელმწიფო თავის თავზე იღებს განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზაციის პროცესების ორგანიზაციას. ხელისუფლების მეორე შტო - აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანოები იყენებენ ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოების მიერ საკანონმდებლო ბაზას, რაც განსაზღვრავს განსახელმწიფოებრივების და პრივატიზაციის პარამეტრებს და მეთოდებს, რომელიც შექმნილია უშუალოდ ახორციელებენ განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზაციის სამუშაოებს.

ტრანსფორმაციული პერიოდის პირველ ფაზაში წარმოიქმნება მოთხოვნა სახელმწიფოს დაეკისროს სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის კონტროლის ფუნქცია. ამ სახის საქმიანობა დაკავშირებულია ფირმის ფუნქციონირების ლეგიტიმურობის შემოწმებასთან, მის მიერ საგადასახადო და შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების კონტროლთან, აგრეთვე მონოპოლიების საქმიანობის რეგლამენტაციასთან.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს კიდევ ერთი სპეციფიკური ფუნქციის აუცილებლობა დაკავშირებულია წარსულის ერთ-ერთი ნეგატიური შედეგის - ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მოთხოვნასთან და სტაბილიზაციის და ეკონომიკური ზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასთან. ამ ფუნქციის შესრულების რეალიზაცია ხდება ღონისძიებებითა სისტემით, რომლებიც მიმართულია ინფლაციისა და უმუშევრობის წინააღმდეგ, აგრეთვე ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შესაქმნელად. ამ ღონისძიებების შერჩევა და თითოეული მათგანის პრიორიტეტულობა დამოკიდებულია არა მარტო ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობაზე მოცემულ მომენტში და ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ კლიმატზე, არამედ სახელმწიფოს მიერ შერჩეულ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელზე და გასატარებელ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

სახელმწიფოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციის შესრულება მიმართულია საბაზრო მექანიზმების ნორმალური ფუნქციონირებისაკენ.

ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელობა და მისი ძირითადი ასპექტები

ქვეყნის სწრაფ განვითარებას, რა თქმა უნდა, გავლენა აქვს მილიონობით ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. ამ განვითარებისათვის საჭიროა გამუდმებული მშვიდობიანი ბრძოლა, წინააღმდეგობის გაწევა სხვადასხვა, განვითარების წინააღმდეგ მიმართული ნაკადებისათვის. ეს, პრაქტიკულად, ორ რამეს ნიშნავს: ჯერ ერთი, საჭიროა გარკვეული ძალისხმევის გამოჩენა განვითარების სტრატეგიის გასაცნობიერებლად, და მეორეც, საჭიროა ასეთი სტრატეგიისათვის მხარის დაჭერა, ამისათვის დემოკრატიის სხვადასხვა ფორმების გამოყენება, მოქალაქეების ამ საქმეში ჩაბმა და სხვ. სწორედ არჩეული სტრატეგია მოითხოვს ასევე იმ ფაქტორების ცოდნასაც, რომელთა ამოქმედება თუ ფორმირებაც არის საჭირო, რათა მაქსიმალურად მივუახლოვდეთ დასახულ მიზნებს.

თანამედროვე ეკონომიკის სხვა ახალ, მნიშ-

ვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი შემდგომი განვითარების დამოკიდებულება ინვესტიციების ხვედრითი წილის ზრდაზე, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ანაბრებზე პროცენტის გაზრდას. ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, რაშიც ძალზე დიდ როლს თამაშობს ადამიანთა ცოდნისა და გამოცდილების, ნედლეულისა და ენერგიის, მანქანებისა და მოწყობილობების რაციონალური გამოყენება. ეკონომიკის შემდგომი ზრდა დანაზოგების ზრდასა და მეურნეობაში ინვესტიციების გაზრდას მოითხოვს.

განვითარების კვალობაზე საერთაშორისო გარემოცვა თანდათან უფრო მომთხოვნი გახდება. მექსიკის, ჩეხეთის, ხოლო ბოლო ხანებში სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ საფინანსო ბაზრები ძალზე მგრძნობიარენი არიან და უაღრესად სწრაფად გააქვთ კაპიტალი იმ ქვეყნიდან, რომელსაც დესტაბილიზაციის საფრთხე დაემუქრება. ამით კი ისინი კიდევ უფრო ამძაფრებენ მძიმე სიტუაციაში აღმოჩენილი ქვეყნის მდგომარეობას. 1998 წელს მალაიზიაში, ინდონეზიასა და რუსეთში, ანუ იმ ქვეყნებში, რომელთა მიმართაც ინვესტორთა ნდობა შესუსტდა, მშპ-ს წარმოების ტემპები შესაბამისად, 7,5, 15,3 და 5,7 პროცენტით შემცირდა.

ღარიბი ქვეყნისათვის განვითარება ჰაერივით აუცილებელია, - ამის გარეშე იგი სიღარიბიდან ვერ გამოვა. ხოლო სიღარიბის დაძლევა რომ შესაძლებელია, ამას გვაჩვენებს დღეს მდიდარი, მაგრამ ოდესღაც ისეთი ღარიბი ქვეყნების გამოცდილება, როგორიც არიან იაპონია, ფინეთი, ირლანდია, ტაივანი და სამხრეთ კორეა. მაგრამ უფრო მეტია იმ ქვეყნების რიცხოვნობა, რომლებიც ადრეც ღარიბები იყვნენ და ახლაც ასეთებად რჩებიან.

სწრაფი განვითარებისა თუ პირიქით, განუვითარებლობის უმთავრესი მიზეზები თავად ცალკეული ქვეყნის შიგნით არის საძიებელი. ამ ქვეყნებს შორის ეკონიმიკურ განვითარებაში არსებული განსხვავების უმთავრესი მიზეზი მათ სამეურნეო პილიტიკას შორის არსებული განსხვავებაა. ზოგი ქვეყანა ატარებს ჯანმრთელი სახელმწიფო ფინანსების, დაბალი და მარტივი გადასახადების, საიმედო საბანკო სისტემის და ა.შ. პოლიტიკას. ასეთი ქვეყნები საკუთარი მოქალაქეების ცხოვრების დონესაც ამაღლებენ და კრიზისების მიმართაც საკმაოდ გამძლენი არიან. მაგრამ უფრო მეტია ისეთი ქვეყნები, სადაც ასეთი მიდგომები საერთოდ არ არსებობს, ან ნაწილობრივ გამოიყენება ისინი. აქ განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, რაც ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტის დევალვაციასა და დავალიანებათა კრიზისს იწვევს. შემდგომში კი ეს ინფლაციისა და ეკონომიკის რეცესიის მიზეზი ხდება. ასეთ მაგალითებად რუსეთისა და ბრაზილიის დასახელებაც საკმარისია. არც იმის მაგალითებია ნაკლები, თუ როგორ მჭიდროდ შეიძლება იყოს დაკავშირებული პოლიტიკის სფერო ქვეყნის ბანკებსა თუ საწარმოებთან.

არასრულფასოვან სამეურნეო პოლიტიკას ორი მიზეზი განაპირობებს. მათგან ერთია ცალკეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების ზეწოლა, ხოლო მეორე - უცოდინარობა, უფრო სწორედ ეკონომიკური მეცნიერების ცუდად ცოდნა. ასეთ შემთხვევაში, თუ განვითარების მომხრენი მოცემულ ქვეყანაში არ შეკავშირდებიან, მაშინ ეს ორი მიზეზი ძლიერდება და მათ შეუძლიათ ეკონომიკის განვითარება მცდარ რელსებზე ამიტომ გასაკვირი როდია, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნების გადამწყვეტ უმრავლესობაში ამჟამად ცხოვრების გაცილებით დაბალი დონეა, ვიდრე მათ 10 წლის წინათ ჰქონდათ. ასევე ბუნდოვანია ამ ქვეყნების განვითარების პერსპექტივებიც. შევხედოთ რუსეთს, უკრაინას, ბელორუსს, რუმინეთს. პოლონეთი ერთადერთი დიდი ქვეყანაა პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან, სადაც მშპ-ს დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე 10 წლის წინათ, და რომელსაც არ განუცდია კრიზისი ეკონომიკის ტრანსფორმაციის შედეგად.

დემოკრატია, ფართო გაგებით, არის არჩევნები, ხოლო არჩევნებით ჩვენ იმის დადგენას ვცდილობთ, თუ საით უნდა წავიდეს ქვეყნის განვითარება, კარგი თუ ცუდი მიმართულებით. არჩევნებს საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს, გაცილებით დიდი, ვიდრე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ასე იმიტომ არის, რომ ისინი უკვე განვითარებული და მდიდარი ქვეყნები არიან, ჩვენ კი მხოლოდ ბოლო 20 წელია, რაც თავისუფალი ქვეყანა გავხდით და მოგვეცა იმის საშუალება, რომ შევამციროთ დისტანცია ჩვენ განვითარებას შორის. დასავლეთს უკვე დიდი ხანია, რაც აქვს კაპიტალისტური სისტემა და განვითარებული მეურნეობა, ჩვენ კი მხოლოდ ახლა ვიწყებთ თავისუფალ ქვეყანაში ახალი სისტემის მშენებლობას. ამიტომ არჩევნების შედეგებზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი შემდგომი პოლიტიკური თუ სამეურნეო მშენებლობის შედეგები. გარდა ამისა საქაქრთველო უნდა შევიდეს ევროკავშირში და ამ გზითაც დააჩქაროს თავისი განვითარების ტემპები. რათა ეს პრიორიტეტული მიმართულებები სასურველი ტემპებით განავითაროს.

ნებისმიერი საპასუხისმგებლო საინვესტიციო წამოწყების წინ საჭიროა საფუძვლიანად შეჯერდეს ერთმანეთთან მისი მომავალი შედეგები და ის ხარჯები, რომელიც საჭირო იქნება მათ მისაღებად. საბოლოო ჯამში, ეფექტი უნდა იყოს ფუნქციონირების ხარჯების სისტემატური შემცირება. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ერთმანეთს ვუდარებთ დანახარჯებსა და მოსალოდნელ ეფექტს და ვანგარიშობთ, თუ რამდენ ხანში დაგვიბრუნდება უკან გაღებული სახსრები.

სოციალიზმიდან გამომავალი ქვეყნებისათვის განსაკუთრებით არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის სახელმწიფოებრივ სფეროს როლს. იგი მოიცავს სახელმწიფოს ყველა ორგანოს, მასვე ემორჩილება ხელისუფლების ყველა რგოლი და ასევე საკუთრების უფლების ძალით დაქვემდებარებული ორგანიზაციები (მაგალითად, სახელმწიფო საწარმოები, სკოლები, საავადმყოფოები და ა.შ.). წარსულის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს იმ ახალი სისტემის კონტურები და ხასიათი, რომლის აშენებასაც ჩვენ ვაპირებთ. თავდაპირველად საჭიროა განისაზღვროს კრიტერიუმები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს ახალ სისტემას, ხოლო შემდეგ კი ის მეთოდები, რომელთა გამოყენებაც დასახული მიზნების რეალიზაციას შეგვაძლებინებს.

ინსტიტუციონალური სისტემების შესახებ ცოდნა საშუალებას გვაძლევს, საზოგადოებაში სახელმწიფოს როლის თაობაზე რამდენიმე პრინციპული ხასიათის დასკვნა გამოვიტანოთ:

1. ადამიანებისა და ეკონომიკის განვითარებისათვის, აუცილებელი ზოგიერთი საქონელი პროდუქტის წარმოება შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ. ასეთი საქონლის (მომსახურების) წარმოებას სარგებლობა მოაქვს არა მხოლოდ იმ ადამიანებისათვის, რომელთაც იგი ხვდათ წილად, არამედ სხვებისათვისაც. ასეთ საქონელს ინგლისურად ეწოდება „მერიტ გოოდს". სახელმწიფოს ასეთ საქმიანობას მიეკუთვნება, მაგალითად, განათლება, ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლა, აუცილებელი ინფრასტრუქტურა, გზები და ხიდები. მათ არსებობას სარგებლობა მოაქვს როგორც ცალკეული ადამიანებისათვის, ისე ეროვნული მეურნეობისათვის მთლიანად. ამასთან, საკმაოდ მნიშვნელოვანსა და რთულ პრობლემას წარმოადგენს იმის დადგენა, თუ მათ საწარმოებლად გაღებული ხარჯების რა წილი უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ და რა - კერძო სექტორმა;

2. სახელმწიფო გაცილებით ცუდი მესაკუთრეა საწარმოების, ვიდრე კერძო პირი ან არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებასთან შედარებით, კერძო საკუთრებას უფრო უკეთ შეუძლია ხელი შეუწყოს ფირმებისა და საერთოდ, მეურნეობის განვითარებას;

3. მრავალი წესისა და ნებართვის დაწესება სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულად აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. საქმე მხოლოდ იმაში როდია, რომ ამ საქმისათვის საჭირო ხდება ბიუროკრატთა მთელი არმიის შენახვა. აქ საზიანო უფრო ისაა, რომ ამგვარი ნებართვების აღება მეწარმეთა მხრიდან უდიდესი ენერგიისა და ფულადი სახსრების ხარჯვას მოითხოვს. ეს შეიძლება შევადაროთ მათთვის გადასახადების გაზრდას, რაც განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწევთ წვრილ და საშუალო მეწარმეებს. შეფასებულია, რომ ამ სახის ხარჯებმა შეერთებულ შტატებში 1992 წელს 500 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც ამ ქვეყნის ბიუჯეტის 8 პროცენტზე მეტია. თუმცა, არსებობს ეკონომიკის ზოგიერთი სექტორი, სადაც ამ სახის სახელმწიფოებრივი რეგულირება აუცილებელია. ასეთია, მაგალითად, გარემოს დაცვა და სხვ;

4. მომწოდებლებს შორის კონკურენცია საუკეთესო მეთოდია მათი წაქეზებისა უფრო უკეთესი მუშაობისათვის. მაგრამ, ამასთან, კონკურენცია მოითხოვს, რომ მიმღებებმა არჩევანი მოახდინონ სხვადასხვა წინადადებებს შორის (რაც ასევე ნიშნავს მომწოდებლებისათვის ბაზარზე თავისუფლად გასვლის შესაძლებლობას). სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს, რომ მიმღებების მიერ შერჩეულ მიმწოდებლებს შეეძლოთ ამის შედეგად განვითარება, ხოლო მათ კი, რომელთა წინადადებაც უარყოფილ იქნა, შეზღუდონ საქმიანობა და თუ საჭირო იქნა, გაკოტრებულადაც კი გამოაცხადონ თავი;

5. თავისუფალი საბაზრო ფასები, რომელთა მიხედვითაც საქონლის მიმღებნი უსწორდებიან მომწოდებლებს, ყველაზე უკეთ ასახავს მოთხოვნას ამ საქონელზე. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საქონლის წარმოებისათვის საჭირო ხარჯების ნაწილი ფინანსირდება გადასახადების ხარჯზე, მაშინ ძალზე რთულია რეალური მოთხოვნის განსაზღვრა.

6. რაც უფრო მეტია სახელმწიფოს ფინანსური საქმიანობის არეალი, მით უფრო მეტი იქნება გადასახადების მასშტაბები. ეს კი, თავის მხრივ, ამუხრუჭებს ეროვნული მეურნეობის წინსვლას და სტიმულს აძლევს „შავი ბიზნესის" განვითარებას. როგორც „ღანდ ჩორპორატიონ-ის" გამოკვლევებიდან ირკვევა, ღარიბ ქვეყნებში მშპ-ს მიმართ გადასახადების ყოველი 10 პროცენტით ზრდა იწვევს მშპ-ს 4 პროცენტით შემცირებას. ფისკალიზმის ეს ნეგატიური გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე ოთხჯერ უფრო საგრძნობია ღარიბ, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამსახურდია გ. ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბ., გამომცემლობა „მერიდიანი", 1997.
2. გამსახურდია თ. საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., თსუ გამომცემლობა, 2003.
3. გოგოხია რ. საბაზრო ეკონომიკა. თბ., თსუ გამომცემლობა, 1996.
4. მექვაბიშვილი ე. სახელმწიფო და ეკონომიკა. თბ., თსუ გამომცემლობა, 1996.
5. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., გამომცემლობა „პდპ". 2002.
6. პაპავა ვ. საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. თბ., გამომცემლობა „მეცნიერება", 1995.
7. სიხარულიძე დ. უცხოური ინვესტიციების როლი გარდამავალ ეკონომიკაში (საქართველოს მაგალითზე), ეკ. მეცნ. კანდ-ტის ხარისხის მოსაპოვლებად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2005.
8. ფულარია ა. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის სტრატეგია მსოფიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2003.
9. თავართქილაძე ა. საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე ჟურნალი მაკრო-მიკრო ეკონომიკა. 2004 №1, გვ., (30-33) 3-54.
10. თეთრუაშვილი ზ. ინვესტიციური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პროცესში. საქართველოს ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაწყვეტის პრიორიტეტები. სამეცნიერო შრომების კრებული. II ტომი. გორი, 1999. გვ 130
11. World Investment Report. United Nations Conference on Trade and Development, New-York, 2004
12. J.D. Sachs, F.B. Larrain. Macroeconomics in the Global Economy. Simon & Schuster,New York, 1993, 848 p.
13. International Financial History of the Twentieth Century. System and Anarchy. Edited by M. Flandreau, C.-L. Holtfrerich & H. James. Cambridge, Cambridge University Press, 2003, 280 p.
14. Balcerowicz. Poland's transformation. Finance & Development, September 2000, p. 14-16.
15. მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა. http://www.worldbank.org.
16. მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა. http://www.worldbank.org.
17. 6 Country classification. http://www.worldbank.org.
18. Human Development Report, Georgia 2000, text by Alexander G. Tvalchrelidze and Gabriel Labbate, United Nations Development Programme, „Poligraph Service" Publ., Tbilisi, 2000, 83p.
19. 6 The World Bank Report No 20275GE Project Appraisal Document on a Proposed Credit in the Amount of SDR 5.5 Million (US$ 7.6 Million Equivalent) and The Global Environment Facility Trust Fund Grant in the Amount of SDR 1.8 Million (US$ 2.5 Million Equivalent) to Georgia for an Agricultural research, Extention and Training Project. Environmetally and Socially Sustainable Development Sector Unit. Europe and Central Asia region. April, 2000, 81 p.

ინტერნეტ მისამართები

20. http://www.nbg.gov.ge/
21. http://www.mof.ge/
22. http://www.statistics.ge/
23. http://www.economy.gov.ge
24. http://intranet.parliament.ge/pbo/index.html
25. http://www.privatization.ge
26. http://www.investmentguide.ge/pages/economic_overview/Investment/fdi/
27. http://rusref.nm.ru/indexpub197.htm
28. http://rusref.nm.ru/stigpage.htm
29. http://www.psigeorgia.org/pregp/files/pregp/First_Draft_I_&_II_Chapters of the_Final_PREGP.pdf
30. http://www.standardandpoors.ru/page.php?path=international
31. http://www.transparency.org/policy_research/surveys_indices/cpi/2005
32. http://www.worldbank.org/data/databytopic/GDP.pdf
33. http://www.mof.ge/DinamicPage.aspx?cmd=page&rootid=298&pageid=203